



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030431247215016

№ 04-35/ო

27 / იანვარი / 2016 წ.

"სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობაში გამოსაყენებელი სპეციალური ფორმების და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივლისის № 04-194/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 10 ივლისის № 04-194/ო ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N17 (სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა), დანართი N18 (უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა) და დანართი N19 (სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების განხორციელების ინსტრუქცია) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

დანართი N17 სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა

შეფასების თარიღი:

სოციალური მუშაკი:	როდიდან არის სააგენტოში დასაქმებული:	ახალი შემთხვევების რაოდენობა მიმდინარე წლის განმავლობაში:	თვის განმავლობაში მიმდინარე შემთხვევების საშუალო რაოდენობა	ინდივიდუალური ზედამხედველობების რაოდენობა
-------------------	--------------------------------------	---	--	---

A . ინფორმაციის შეგროვება/ანალიზი					ჭადაწვევტილების მიღება					C. სამოქმედო (ჩარევის) გეგმა		
--	--	--	--	--	-------------------------------	--	--	--	--	-------------------------------------	--	--

სოციალური მუშაკის მიერ გამოყენებული ი წყაროები არის მრავალფეროვანი	სოციალური მუშაკის მიერ გამოყენებული წყაროები არის რელიევანტური	სოციალური მუშაკი იყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს: ინტერვიუ (გასაუბრება), დაკვირვება და დოკუმენტაციის ანალიზი	სოციალური მუშაკი ავლენს ანალიტიკური აზროვნების უნარს	სოციალური მუშაკი ახორციელებს შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადო წერილობით დოკუმენტირებას	სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ემსახურება ბავშვის უპირატესი უფლების დაცვას, აღიზარდოს ბიოლოგიურ ოჯახში, როდესაც ეს შესაძლებელია	სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ა პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით არის არგუმენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად	სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 24- საათიან ზრუნვასთან დაკავშირებით (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი და სხვ.) არის არგუმენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად	სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ემსახურება ბენეფიციარის (ბავშვის, ხანდაზმულის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირის) ჭეშმარიტ ინტერესებს	სოციალური მუშაკის მიერ ჩამოყალიბებული გეგმა ეფუძნება შემთხვევის შეფასების პროცესში ამოღებულ ინფორმაციას	სოციალური მუშაკის მიერ ჩამოყალიბებული გეგმა არის შესრულებადი და სათანადოდ მორგებული ბენეფიციარის საჭიროებებს	სოციალური მუშაკის მიერ გეგმაში გაწერილი აქტივობები არის შესაბამისი
--	--	--	--	--	---	---	---	--	---	--	--

შეფასება					შეფასება					შეფასება		

საერთო ქულა					საერთო ქულა					საერთო ქულა		
--------------------	--	--	--	--	--------------------	--	--	--	--	--------------------	--	--

D. პროფესიული ღირებულებების გააზრება					E. კომუნიკაცია					F. ბენეფიციარის ჩართულობის უზრუნველყოფა		
---	--	--	--	--	-----------------------	--	--	--	--	--	--	--

სოციალური მუშაკი ბენეფიციარის მიმართ არაგანსჯივითი (არ განიკითხავს) ბენეფიციარის მიმართ	სოციალური მუშაკი არის მოტივირებული (ობიექტური) ბენეფიციარის მიმართ	სოციალური მუშაკი იცავს შემთხვევის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას	სოციალური მუშაკი მოქმედებს პროფესიული ღირებულებებისა და ბენეფიციარის ინტერესების შესაბამისად (მათ შორის, ეთიკური დილემების დროს)	სოციალური მუშაკი აქვს ეფექტური კომუნიკაცია ბენეფიციარებთან	სოციალური მუშაკი აქვს ეფექტური კომუნიკაცია კოლეგებთან	სოციალური მუშაკი აქვს ეფექტური კომუნიკაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან	სოციალური მუშაკი აქვს ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებასთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა სახელმწიფო უწყებები)	სოციალური მუშაკი არკვევს და ითვალისწინებს ბენეფიციარის აზრს	სოციალური მუშაკი შესაძლებლობის შემთხვევაში რთავს ბენეფიციარს მუშაობის პროცესში
---	--	--	--	--	---	--	--	---	--

შეფასება					შეფასება					შეფასება		

საერთო ქულა					საერთო ქულა					საერთო ქულა		
--------------------	--	--	--	--	--------------------	--	--	--	--	--------------------	--	--

G. დროის/სამუშაოს მართვა				H. საბჭოთახ თანამშრომლობა				I. ჩარევის(ინტერვენციის) უნარ-ჩვევები			
---------------------------------	--	--	--	----------------------------------	--	--	--	--	--	--	--

სოციალური მუშაკი რეალისტურად გეგმავს შემთხვევას	სოციალური მუშაკი აღწევს დროში დასახულ მიზნებს	სოციალური მუშაკი დროულად უზრუნველყოფს დოკუმენტაციის წარმოებას ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში	სოც. მუშაკი ეფექტურად ახორციელებს ბენეფიციარებთან და მათ სისტემებთან (ოჯახი, სკოლა, სამეზობლო და სხვ.) ვიზიტების ორგანიზებას	სოციალური მუშაკის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი შემთხვევა არის სრულყოფილი და მომზადებული არგუმენტირებული	სოციალური მუშაკის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი პრეზენტაცია არის ლაკონური და დამაჯერებელი	სოციალური მუშაკი მოიპოვებს ბენეფიციარის ნდობას პროფესიული საზღვრებისა და ეთიკური ნორმების დაცვით	სოციალური მუშაკი აქცენტს აკეთებს ბენეფიციარის ძლიერ მხარეებზე	სოციალური მუშაკი მოიპოვებს და სრულად აწვდის ინფორმაციას ბენეფიციარს სოციალური დახმარების/მომსახურების და სხვა საკითხების შესახებ	სოციალური მუშაკი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ბენეფიციარის გამძლეობაზე ორიენტირებულ ჩარევას	სოციალური მუშაკი დროულად, ეფექტურად და ბენეფიციარის ინტერესების დაცვით ახდენს კრიზისული/გადაუდებელი შემთხვევის/სიტუაციის მართვას
---	---	--	--	---	--	--	---	--	--	--

შეფასება			შეფასება			შეფასება				
-----------------	--	--	-----------------	--	--	-----------------	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საერთო ქულა				საერთო ქულა			საერთო ქულა			
--------------------	--	--	--	--------------------	--	--	--------------------	--	--	--

1. ადვოკატობის უნარ-ჩვევები		2. ძალადობის/გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირება				3. პროფესიული განვითარება				
------------------------------------	--	---	--	--	--	----------------------------------	--	--	--	--

სოციალური მუშაკი ახდენს ბენეფიციარების უფლებების ადვოკატობას	სოციალური მუშაკი თვითადვოკატობას	სოციალური მუშაკი სათანადოდ ამოიწონებს ძალადობის იმ გამოვლინებას, რომელზეც სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ქმედება/რეაგირება ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად	ძალადობის გამოვლენის შემთხვევებში, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ უკავშირდება უფროს სოციალურ მუშაკს	ძალადობის გამოვლენის შემთხვევებში, სოციალური მუშაკი დროულად და ბავშვის ინტერესების შესაბამისად თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებასთან ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დაცვით	ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი შეიმუშავებს ეფექტურ ინდივიდუალურ განვითარების გეგმას, რომელშიც რთავს სხვადასხვა პროფესიონალს/უწყებას	სოციალური მუშაკი ცდილობს ახალი ცოდნის და ინფორმაციის მიღებას	სოციალური მუშაკი ცდილობს მიღებული ცოდნის და ინფორმაციის გამოყენებას	სოციალური მუშაკი აქვს საკუთარი მუშაობის ობიექტურად შეფასების უნარი	სოციალური მუშაკი ზედამხედველობის დროს ღია კონსტრუქციული კრიტიკისადმი
--	----------------------------------	--	--	--	---	--	---	--	--

შეფასება		შეფასება				შეფასება				
-----------------	--	-----------------	--	--	--	-----------------	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

საერთო ქულა		საერთო ქულა			საერთო ქულა					
--------------------	--	--------------------	--	--	--------------------	--	--	--	--	--

ჯამური ქულა:

ძლიერი მხარეები

(მონიშნეთ ყველა შესაბამისი)

1. სოციალურ მუშაკებზე გაწეული პროფესიული ზედამხედველობა
2. ჭიშკრის დარაჯობის პოლიტიკის გააზრება
3. პროფესიული ღირებულებების გააზრება
4. კომუნიკაცია
5. დროის/სამუშაოს მართვა
6. საბჭოსთან თანამშრომლობა
7. ადვოკატობის უნარ-ჩვევები
8. ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება
9. პროფესიული განვითარება

კომენტარი:

გასაუმჯობესებელი ასპექტები

(მონიშნეთ ყველა შესაბამისი)

1. სოციალურ მუშაკებზე გაწეული პროფესიული ზედამხედველობა
2. ჭიშკრის დარაჯობის პოლიტიკის გააზრება
3. პროფესიული ღირებულებების გააზრება
4. კომუნიკაცია
5. დროის/სამუშაოს მართვა
6. საბჭოსთან თანამშრომლობა
7. ადვოკატობის უნარ-ჩვევები
8. ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება
9. პროფესიული განვითარება

კომენტარი:

რეკომენდაციები გასაუმჯობესებელ ასპექტებთან მიმართებაში:

დამატებითი კომენტარები:

ზემოთ მოცემულია ის ძირითადი პუნქტები (A, B, C, D, E, F, G, H, I, J, K, L), რომლითაც ფასდება დაქირავებული. ყოველ პუნქტში ერთიანდება რამდენიმე შეკითხვა. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული შეკითხვა და შემოხაზოთ შესაბამისი ქულა (ფასდება 5 ბალიანი სისტემით, სადაც 1 არის თითქმის არასოდეს, 2- იშვიათად, 3-საშუალო სიხშირით, 4- ხშირად, ხოლო 5 არის თითქმის ყოველთვის,). თუ შეუძლებელია სოციალური მუშაკის შეფასება რომელიმე კითხვის ან სექციის მიხედვით, მონიშნეთ 0, რაც ნიშნავს „არ ექვემდებარება შეფასებას“. ყოველი პუნქტის გასწვრივ იწერება საერთო ქულა (ანუ ჯამდება ყოველი პუნქტის ქვეკითხვების ქულები). ბოლოს იკრიბება ყველა პუნქტზე საერთო ქულა და იწერება ჯამური ქულა.

მიმდინარე შემთხვევები – თვის განმავლობაში ახალი და არსებული (მონიტორინგის პროცესში) შემთხვევების საერთო რაოდენობა

თვის განმავლობაში მიმდინარე შემთხვევების საშუალო რაოდენობა არის წლის განმავლობაში (ბოლო 12 თვე) მიმდინარე შემთხვევების რაოდენობის საშუალო არითმეტიკული

ახალი შემთხვევების რაოდენობა წლის განმავლობაში არის წლის განმავლობაში (ბოლო 12 თვე) ახალ შემთხვევათა საერთო რაოდენობა

ხელმოწერები:

სოციალური მუშაკი:

უფროსი სოციალური მუშაკი:

დანართი N18 უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა შევსების თარიღი:

შეფასების პერიოდი:

უფროსი სოციალური მუშაკი:	როდიდან არის სააგენტოში დასაქმებული ამ თანამდებობაზე:	დაქვემდებარებულ სოციალურ მუშაკთა ახალი შემთხვევების რაოდენობა მიმდინარე წლის განმავლობაში:	დაქვემდებარებულ სოციალურ მუშაკთა მიმდინარე შემთხვევების საშუალო რაოდენობა თვის განმავლობაში	დაქვემდებარებულ სოციალურ მუშაკთა რაოდენობა:	ჩატარებული ინდივიდუალური ზედამხედველობების ჯამური რიცხვი	ჩატარებული ჯგუფური ზედამხედველობების ჯამური რიცხვი	ჩატარებული საქმიანობის შეფასებების ჯამური რიცხვი	შეფასების პერიოდში უფროსი სოციალური მუშაკის მიერ გავლილი ტრენინგების ჯამური რიცხვი
--------------------------	---	--	---	---	--	--	--	--

--	--	--	--	--	--	--	--	--

სოციალურ მუშაკებზე გაწეული პროფესიული ზედამხედველობა	ჭიშკრის დარაჯობის პოლიტიკის გააზრება	პროფესიული ღირებულებების გააზრება	კომუნიკაცია	დროის/სამუშაოს მართვა	საბჭოსთან თანამშრომლობა	ადვოკატობის უნარ-ჩვევები	ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება	პროფესიული განვითარება
--	--------------------------------------	-----------------------------------	-------------	-----------------------	-------------------------	--------------------------	----------------------------------	------------------------

შეფასება

--	--	--	--	--	--	--	--	--

ჯამური ქულა:

ძლიერი ასპექტები:

(მონიშნეთ ყველა შესაბამისი)

1. სოციალურ მუშაკებზე გაწეული პროფესიული ზედამხედველობა
2. ჭიშკრის დარაჯობის პოლიტიკის გააზრება
3. პროფესიული ღირებულებების გააზრება
4. კომუნიკაცია
5. დროის/სამუშაოს მართვა
6. საბჭოსთან თანამშრომლობა
7. ადვოკატობის უნარ-ჩვევები
8. ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება
9. პროფესიული განვითარება

კომენტარი:

გასაუმჯობესებელი ასპექტები:

(მონიშნეთ ყველა შესაბამისი)

1. სოციალურ მუშაკებზე გაწეული პროფესიული ზედამხედველობა
2. ჭიშკრის დარაჯობის პოლიტიკის გააზრება
3. პროფესიული ღირებულებების გააზრება
4. კომუნიკაცია
5. დროის/სამუშაოს მართვა
6. საბჭოსთან თანამშრომლობა
7. ადვოკატობის უნარ-ჩვევები
8. ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება
9. პროფესიული ანტიტარბა

კომენტარი:

რეკომენდაციები (გასაუმჯობესებელ ასპექტებთან მიმართებაში):

დამატებითი კომენტარები:

ზემოთ მოცემულია ის ძირითადი პუნქტები, რომლითაც ფასდება დაქირავებული. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული პუნქტი და შემოხაზოთ შესაბამისი ქულა (ფასდება 5 - ბალიანი სისტემით, სადაც 1 არის ძალიან ცუდი, 2-ცუდი, 3- საშუალო, 4-კარგი, ხოლო 5 არის ძალიან კარგი). ყოველი პუნქტის გასწვრივ იწერება შესაბამისი ქულა, ბოლოს იკრიბება და იწერება ჯამური ქულა.

მიმდინარე შემთხვევები – თვის განმავლობაში ახალი და არსებული (მონიტორინგის პროცესში) შემთხვევების საერთო რაოდენობა

თვის განმავლობაში მიმდინარე შემთხვევების საშუალო რაოდენობა არის წლის განმავლობაში (ბოლო 12 თვე) სოციალური მუშაკების მიმდინარე შემთხვევების რაოდენობის საშუალო არითმეტიკული

ახალი შემთხვევების რაოდენობა მიმდინარე წლის განმავლობაში არის წლის წლის განმავლობაში (ბოლო 12 თვე) ყველა სოციალური მუშაკის ახალ შემთხვევათა ჯამი

ინფორმაციის წყარო: უფროს სოციალურ მუშაკთან ჩატარებული სუპერვიზიის ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები

ხელმოწერები:

პროფესიული ზედამხედველი:

უფროსი სოციალური მუშაკი:

სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და მათი საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია

პროფესიული ზედამხედველობა

სოციალური მომსახურების სააგენტოში, სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველია მათი სამხარეო ცენტრის/რაიონის უფროსი სოციალური მუშაკი. ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის სესიები ხორციელდება წელიწადში ერთხელ სოციალური მუშაკების ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმის მეშვეობით. სესია გრძელდება დაახლოებით 1.5 საათი. რეკომენდებულია, სესია ჩატარდეს მონაცვლეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო/რაიონულ ცენტრში (სადაც მუშაობს უფროსი სოციალური მუშაკი) და რაიონულ განყოფილებაში (სადაც მუშაობს სოციალური მუშაკი), რათა უფროსმა სოციალურმა მუშაკმა შეძლოს სოციალურ მუშაკზე მუშაობის პროცესში დაკვირვება.

სოციალური მუშაკების ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის სესიები ხორციელდება წელიწადში ერთხელ უფროსი სოციალური მუშაკის მიერ. ამისთვის გამოიყენება სოციალური მუშაკების ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა. სესია გრძელდება დაახლოებით 3 საათი. დიდი (15 სოციალურ მუშაკზე მეტი შემადგენლობის) ჯგუფების შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ ჯგუფური ზედამხედველობის სესიისთვის ჯგუფი ორად გაიყოს. ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის სესია უნდა მოხდეს რეგიონის/რაიონის ყველა სოციალური მუშაკის ინდივიდუალური ზედამხედველობის სესიას, რათა უფროსმა სოციალურმა მუშაკმა შეძლოს ყველა სოციალური მუშაკის ზოგად საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება ჯგუფური სესიის მსვლელობისას.

უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველია მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომელი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მინიმუმ 2-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება და განათლება სოციალურ მუშაობაში (აკადემიური ხარისხი ან სერტიფიკატი სოციალურ მუშაობაში). ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის სესიები ხორციელდება წელიწადში ერთხელ უფროსი სოციალური მუშაკების ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმის მეშვეობით, წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

უფროსი სოციალური მუშაკების ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის სესიები ხორციელდება წელიწადში ერთხელ მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომლების მიერ. ამისთვის გამოიყენება უფროსი სოციალური

მუშაკების ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა. ჯგუფური ზედამხედველობის სესია ხორციელდება მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოში. სესია გრძელდება დაახლოებით 1 სამუშაო დღე (6 სამუშაო საათი). ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის სესია უნდა მოსდევდეს ყველა უფროსი სოციალური მუშაკის ინდივიდუალური ზედამხედველობის სესიებს, რათა პროფესიულმა ზედამხედველმა შეძლოს ყველა მონაწილის საჭიროებებიდან და ძლიერი მხარეებიდან ზოგადი ტენდენციების გამოკვეთა ჯგუფური ზედამხედველობის სესიისთვის.

საქმიანობის შეფასება

სოციალური მუშაკების საქმიანობას აფასებს სამხარეო ცენტრის/რაიონის უფროსი სოციალური მუშაკი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმით. საქმიანობის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ. მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის შეფასებას 2 - 3 თვით უსწრებდეს ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობა, რათა სოციალურმა მუშაკმა შეძლოს პროფესიული ზედამხედველობის სესიაზე მიცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება საკუთარი მუშაობის ძლიერ და გასაუმჯობესებელ ასპექტებთან მიმართებაში.

უფროსი სოციალური მუშაკების საქმიანობას აფასებს მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომელი უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმის მეშვეობით. უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასება ხორციელდება რეგიონის სოციალური მუშაკების საქმიანობის შეფასების ფორმების მიხედვით, მათი წარმოდგენის შემდგომ. უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.

ცხრილი 1: სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების/უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობისა და საქმიანობის შეფასების პროცედურა.

<i>მიმართულება</i>	<i>საჭირო ფორმა</i>	<i>სიხშირე</i>	<i>პასუხისმგებელი პირი</i>
<u>სოციალური მუშაკის პროფესიული ზედამხედველობა</u>	სოციალური მუშაკის ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა	წელიწადში ერთხელ გრაფიკის შესაბამისად.	უფროსი სოციალური მუშაკი
	სოციალური მუშაკის ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა	წელიწადში ერთხელ გრაფიკის შესაბამისად.	უფროსი სოციალური მუშაკი

<u>უფროსი სოციალური მუშაკის პროფესიული ზედამხედველობა</u>	უფროსი სოციალური მუშაკის ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა	წელიწადში ერთხელ გრაფიკის შესაბამისად.	მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომელი
	უფროსი სოციალური მუშაკის ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის ფორმა	წელიწადში ერთხელ გრაფიკის შესაბამისად.	მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომლები
<u>სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასება</u>	სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა	წელიწადში ერთხელ	უფროსი სოციალური მუშაკი
<u>უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასება</u>	უფროსი სოციალური მუშაკის საქმიანობის შეფასების ფორმა	წელიწადში ერთხელ	მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს თანამშრომელი